

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„გ ა მ ტ კ ი ც ე ზ“

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

ჭ. ჭყიშვილი

ზურაბ ბუცხრიკიძე

„19 05-----“ 2015 წელი

ეგზ. №1

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის

2013-2014 წლების ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტის ანგარიში

61/38/00

2015 წელი

სარჩევი

აუდიტის მიზანი.....	3
აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა.....	4
ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	5
2013 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძვლები.....	8
მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში.....	8
მოთხოვნები საქონლისა და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით.....	8
მოთხოვნები აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით.....	9
შენობა-ნაგებობები.....	9
დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი.....	11
არაწარმოებული აქტივები	13
მომსახურების მიწოდებით დარიცხული ვალდებულებები	14
აქტივების მიწოდებით დარიცხული ვალდებულებები.....	14
წმინდა ღირებულება	14
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	15
სატრანსპორტო საშუალებები	15
სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	16
ინვენტარიზაცია.....	16
აუდიტის დასკვნა - პირობითი დასკვნა	18
2014 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძვლები.....	18
მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში.....	18
მოთხოვნები საქონლისა და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით.....	19
მოთხოვნები აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით.....	19
შენობა-ნაგებობები.....	20
დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი.....	22
არაწარმოებული აქტივი	22
მომსახურების მიწოდებით დარიცხული ვალდებულებები	23
აქტივების მიწოდებით დარიცხული ვალდებულებები.....	23
შრომის ანაზღაურება.....	24
წმინდა ღირებულება	24
შენობა-ნაგებობების უსასყიდლოდ მიღება.....	25
სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	25
ინვენტარიზაცია.....	26
სხვა მნიშვნელოვანი საკითხები	28
პრემია.....	28
„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში შეძენილი მარაგები.....	28
გაზსადენი მილი	29
აუდიტის დასკვნა - პირობითი დასკვნა	29
ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ფინანსური ანგარიშგება.....	31
ყაზბეგის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ფინანსური ანგარიშგება.....	43
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი	55
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები.....	55

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზანია აუდიტის ობიექტის 2013-2014 წლების პერიოდის მდგომარეობით შედგენილი ბუღალტრული ანგარიშგების სისწორეზე მოსაზრების გამოთქმა.

აუდიტის ობიექტის ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები, რომლებზეც გაიცემა აუდიტორული დასკვნა, მოიცავს აუდიტის ობიექტის ბალანსს 2013-2014 წლების მდგომარეობით და ბალანსის დანართ ფორმებს, რომლებიც დადგენილია „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანებით.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტი ვალდებულია უზრუნველყოს ბუღალტრული ანგარიშგების მომზადება და სამართლიანად წარდგენა შემდეგი ნორმატიული აქტების შესაბამისად:

- „საქართველოში ბუღალტრული არღიხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულება;
- „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია¹;
- „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება.

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

¹ 2015 წლის 1 იანვრიდან მოქმედებს იმავე ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“.

გარდა ამისა, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აუდიტორებისათვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურე ვალდებულია:

ა) აუდიტი წარმართოს უმაღლესი აუდიტორული ორგანოების აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად, რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას გონივრული რწმუნების მისაღებად იმის შესახებ, რომ აუდიტის ობიექტის ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას;

ბ) დაიცვას საქართველოს კონსტიტუცია და სხვა ნორმატიული აქტები;

გ) აუდიტის ობიექტს გააცნოს აუდიტის სახეობა, მიზანი, პერიოდი და მხარეთა უფლება-მოვალეობანი;

დ) უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების, სახელმწიფო, სამსახურებრივი და კომერციული საიდუმლოებების დაცვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ე) აუდიტის შედეგები არ გახადოს საჯარო აუდიტის ანგარიშის შედეგნამდე;

ვ) აუდიტის პროცესში შესაძლო დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში, დოკუმენტების ორიგინალები დაურთოს აუდიტის მასალებს, ხოლო მათი დამოწმებული ასლები დატოვოს აუდიტის ობიექტში;

ზ) დაიცვას სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსი;

თ) აუდიტის ჩატარებისას არ ჩაერიოს აუდიტის ობიექტის მიმდინარე საქმიანობაში.

აუდიტორული პროცედურების შერჩევა ხდება აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს:

- ბუღალტრული ანგარიშგების ფორმებში არსებითი უზუსტობების რისკებისა და კონტროლის მექანიზმების შეფასებას;

- ბუღალტრული აღრიცხვის სისტემისა და აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული აღრიცხვის წესების შეფასებას;

- ანგარიშგების წარდგენის საერთო შეფასებას;

- სხვა დამატებით პროცედურებს, რომლებიც განისაზღვრება აუდიტის მსვლელობისას.

ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

ყაზბეგის მუნიციპალიტეტი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის“, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის², საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

მუნიციპალიტეტი საქმიანობას წარმართავს ბიუჯეტის საშუალებით. მისი ძირითადი მიმართულებებია:


- ✓ საბიუჯეტო პროცესის განხორციელება (საბიუჯეტო ურთიერთობა და პასუხისმგებლობა);
- ✓ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით, მოქალაქეების ინტერესების გათვალისწინებით წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება;
- ✓ იურიდიული პირების დაფუძნება, რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია;
- ✓ მუნიციპალური ქონების შექმნის, სარგებლობისა და განკარგვის საკითხების რეგულირება საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში;
- ✓ სივრცით-ტერიტორიული მოწყობა, განაშენიანება და ტერიტორიის კეთილმოწყობა;
- ✓ მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხებზე წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება;
- ✓ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალურად დაუცველი პირების აღრიცხვა და სხვ.

² აღნიშნული კოდექსი მოქმედებს 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდგომ, ხოლო მანამდე მოქმედებდა საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“.

იმის გამო, რომ 2013 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი უზუსტობებია, წარმოდგენილი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შესახებ აღებულია ბიუჯეტის შესრულების ანგარიშიდან.

2013 წელს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის შემოსულობებმა შეადგინა 4 351.5 ათასი ლარი. შემოსულობებიდან 2 535.1 ათასი ლარი (58,3%) არის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერი. მათ შორის, გათანაბრებითი ტრანსფერის სახით მიღებულია 668.2 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი შეადგენს 80.0 ათას ლარს, ხოლო დანარჩენი 1 786.9 ათასი ლარი მიღებულია სპეციალური ტრანსფერის სახით³.

დიაგრამა 1: სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერი - 2013 წელი




2013 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, ბიუჯეტის გადასახდელებმა შეადგინა 3 889.4 ათასი ლარი. გადასახდელების 52,5%-ს შეადგენს ხარჯები, ხოლო 47,5 %-ს - არაფინანსური აქტივების ზრდა. 2013 წელს მუნიციპალიტეტის მიერ არაფინანსური აქტივის ზრდის კუთხით ძირითადად განხორციელებულია შემდეგი აქტივობები: შენობა-ნაგებობების, გზისა და წყლის სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოები, აგრეთვე გარე განათების სამუშაოები.

2014 წელს ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის შემოსულობებმა შეადგინა 7 145.1 ათასი ლარი. შემოსულობებიდან 4 276.3 ათასი ლარი (59,8%) არის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერი, მათ შორის, გათანაბრებითი ტრანსფერის სახით მიღებულია 718.1 ათასი ლარი,

³ აღნიშნული სპეციალური ტრანსფერი მოიცავს არაფინანსური აქტივების ზრდის მიზნით მიღებულ თანხებს, ხოლო 2015 წლის 1 იანვრიდან ამ მიზნით მუნიციპალიტეტები იღებენ კაპიტალურ ტრანსფერს.

მიზნობრივი ტრანსფერი შეადგენს 85.0 ათას ლარს, ხოლო დანარჩენი 3 473.2 ათასი ლარი, მიღებულია სპეციალური ტრანსფერის სახით.

დიაგრამა 2: სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერი - 2014 წელი



2014 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, ბიუჯეტის გადასახდელებმა შეადგინა 6 132.0 ათასი ლარი. გადასახდელების 39%-ს შეადგენს ხარჯები, ხოლო 61%-ს - არაფინანსური აქტივების ზრდა.

აუდიტის ჯგუფი არ გამოთქვამს მოსაზრებას 2013 წელს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი საწყისი ნაშთების სისწორეზე. ჩატარებული აუდიტორული პროცედურებით გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილი შიდა კონტროლის მექანიზმები ვერ უზრუნველყოფს არსებითი უზუსტობების გამოვლენას ან/და თავიდან აცილებას. აუდიტის შედეგად გამოვლინდა აგრეთვე უზუსტობები და რიგი გარემოებები, რომლებიც არსებით გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე.

ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

2013 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძვლები

მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში

გარემოება. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მიერ 2013 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორ მუხლში არის კლასიფიცირებული საბანკო ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრების საწყისი და საბოლოო ნაშთები. კერძოდ, საბანკო ამონაწერების მიხედვით, 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტს ნაშთის სახით ერიცხებოდა 1670.9 ათასი ლარი, ხოლო 2014 წლის 1 იანვრისთვის - 2167.5 ათასი ლარი. აღნიშნული ნაცვლად მუხლისა - „მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში“, წარმოდგენილია „საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისთვის“ მუხლში.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) „საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისთვის“ მუხლი გაზრდილი თანხით არის წარმოდგენილი, ხოლო იმავე თანხით არის შემცირებული მუხლი „მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში“.

მოთხოვნები საქონლისა და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით

გარემოება. მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მუნიციპალიტეტს 2013 წლის ბოლოსათვის ერიცხება დებიტორული დავალიანება საქონლისა და მომსახურების მიღებაზე, თანხით 6.0 ათასი ლარი. აღნიშნული წარმოდგენილია არასწორად „სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივების“ მუხლში.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა № 1) მუხლი - „მოთხოვნები საქონლისა და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით“, წლის ბოლოსათვის შემცირებულია 6.0 ათასი ლარით, ხოლო ამავე თანხით გაზრდილია „სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივების“ მუხლის საბოლოო ნაშთი.

მოთხოვნები აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით

გარემოება. 2013 წელს ფაქტობრივად მიღებულია სამუშაო - საკანალიზაციო ქედი, ღირებულებით 10.1 ათასი ლარი, მაგრამ მიმწოდებლის მიერ არ არის წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტი. ასევე, მიმწოდებლისთვის⁴ ავანსის სახით გადარიცხულია 114.0 ათასი ლარი. აღნიშნული დებიტორული დავალიანება წარმოდგენილია არასწორად 123.4 ათასი ლარით, „სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივების“ მუხლში.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა № 1) მუხლი - „მოთხოვნები აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით“, წლის ბოლოსათვის შემცირებულია 124.1 ათასი ლარით, ხოლო 123.4 ათასი ლარით გაზრდილია „სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივების“ მუხლის საბოლოო ნაშთი.

შენობა-ნაგებობები

გარემოება 1. მუნიციპალიტეტმა 2010 წლის ოქტომბერში, სახელმწიფოსგან მის საკუთრებაში გადმოცემული ქონების საბაზრო ღირებულების დადგენასთან დაკავშირებით მიმართა „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“. დასკვნის მიხედვით, გადმოცემული ქონების (შენობა-ნაგებობების)⁵ ღირებულება შეადგენს 115.7 ათას ლარს. ასევე, 2013 წელს გაყიდულია ყოფილი ტურბაზის შენობა, ღირებულებით - 60.8 ათასი ლარი. გადმოცემული და გაყიდული ქონების ბალანსზე აყვანა მუნიციპალიტეტის მხრიდან არ განხორციელებულა.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა № 1 და ბალანსის დანართი ფორმა №5) „შენობა-ნაგებობების“ მუხლის საწყისი ნაშთი შემცირებულია 115.7 ათასი ლარით, ხოლო საბოლოო ნაშთი - 54.9 ათასი ლარით.
- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №5) „შენობა-ნაგებობების“ გაყიდვის“ მუხლი შემცირებულია 60.8 ათასი ლარით.

⁴ შპს „პიქსელი ჯგუფი“ - თბილისის ქუჩისა და სოფელ სნოს სანიაღვრე არხის მოწყობა.

⁵ ყოფილი ტურიზმის შენობა, ყოფილი ცეკავშირის შენობის მეორე სართული, ფურნე, სხვადასხვა სოფლის რიტუალების სახლები.

- გადმოცემული ქონება წარმოადგენს მუნიციპალიტეტის აქტივს და უნდა დაერიცხოს ცვეთა. მუნიციპალიტეტის მხრიდან აღნიშნულ სამუშაოებზე ცვეთის დარიცხვა არ განხორციელებულა. დასარიცხი ცვეთის თანხით ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართები ფორმა №2; №3 და №5) „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი არასწორად არის წარმოდგენილი.
- დასარიცხი ცვეთა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) წარმოდგენილ „წმინდა ღირებულების მუხლის“ სისწორეზე.

გარემოება 2. მუნიციპალიტეტმა წლის მანძილზე სხვადასხვა მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში შეისყიდა 216.6⁶ ათასი ლარის ღირებულების სამუშაოები. აღნიშნული წარმოადგენს არაფინანსური აქტივის ზრდის ოპერაციებს. ბუღალტრულ ჩანაწერებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში სამუშაოები აღიარებული უნდა იყოს „შენობა-ნაგებობების მიღების“ შესაბამის მუხლებში და დაერიცხოს ცვეთა. აღნიშნული ოპერაცია მუნიციპალიტეტის მიერ არ განხორციელებულა.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი ფორმა № 1; ბალანსის დანართი ფორმა №5) „შენობა-ნაგებობების“ შესაბამისი მუხლები შემცირებული თანხით არის წარმოდგენილი.
- შესრულებული სამუშაოები წარმოადგენს მუნიციპალიტეტის აქტივს და უნდა დარიცხვოდა ცვეთა. მუნიციპალიტეტის მხრიდან აღნიშნულ აქტივზე ცვეთის დარიცხვა არ განხორციელებულა. დასარიცხი ცვეთის თანხით ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართები ფორმა №2; №3 და № 5) „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი არასწორად არის წარმოდგენილი.
- დასარიცხი ცვეთა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) წარმოდგენილ „წმინდა ღირებულების მუხლის“ სისწორეზე.

⁶ გზის მოწყობა, ნაპირსამაგრი სამუშაოები, რიტუალების სახლის მშენებლობა, სასაფლაოს შემოღობვა.

გარემოება 3. მუნიციპალიტეტის მიერ წლის მანძილზე განხორციელდა 8.4 ათასი ლარის ისეთი საპროექტო მომსახურების შესყიდვა, რომელთა საშუალებით შეიქმნა მუნიციპალიტეტის ძირითადი ქონება. აღნიშნული წარმოდგენილია „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლში. საქართველოს ფინანსთა მინისტრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციით⁷, ოპერაციის ძირითად აქტივად აღიარების დროს ყველა დანახარჯი, რომელიც საჭიროა აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად და სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ემატება აქტივის ღირებულებას. აქედან გამომდინარე, პროექტის ღირებულება უნდა დამატებოდეს შესაბამისი აქტივის ღირებულებას და მისი ასახვა „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლში არასწორია.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი ფორმა № 1; ბალანსის დანართი ფორმა №5) „შენობა-ნაგებობების“ შესაბამისი მუხლები შემცირებული თანხით არის წარმოდგენილი.
- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2; №3) „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლი გაზრდილია 8.4 ათასი ლარით.
- შესრულებული სამუშაოები წარმოადგენს მუნიციპალიტეტის აქტივს და უნდა დაერიცხოს ცვეთა. მუნიციპალიტეტის მხრიდან აღნიშნულ სამუშაოებზე ცვეთის დარიცხვა არ განხორციელებულა. დასარიცხი ცვეთის თანხით ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართები ფორმა №2; №3 და № 5) „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი არასწორად არის წარმოდგენილი.
- დასარიცხი ცვეთა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) წარმოდგენილ „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე.

დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი

გარემოება 1. მუნიციპალიტეტმა სხვადასხვა ხელშეკრულების ფარგლებში შეისყიდა სამუშაოები, რომლებიც არ დასრულებულა მიმდინარე წელს და მოხდა მათი მიღება-

⁷ „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“.

ჩაბარების თარიღის გადავადება მომდევნო წლისათვის. 2013 წლის 1 იანვრისათვის 222.3 ათასი ლარის⁸ ღირებულების, ხოლო 2014 წლის 1 იანვრისათვის 790.5 ათასი ლარის⁹ ღირებულების სამუშაოები არ არის აღრიცხული და წარმოდგენილი ფინანსურ ანგარიშგებაში.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა № 1 და ბალანსის დანართი ფორმა №5) „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივის“ მუხლის ნაშთი წლის დასაწყისისათვის შემცირებულია 222.3 ათასი ლარით, ხოლო ნაშთი წლის ბოლოსათვის შემცირებულია 790.5 ათასი ლარით.

გარემოება 2. 2013 წელს მუნიციპალიტეტმა განახორციელა 37.8 ათასი ლარის ისეთი საპროექტო მომსახურების შესყიდვა, რომელთა პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები არ განხორციელდა ან მოხდა სამუშაოების გადავადება, საპროექტო მომსახურების ღირებულება ნაცლად „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლისა, წარმოდგენილი უნდა იყოს „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივის“ მუხლში.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1, ბალანსის დანართი ფორმა №5) „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივის“ მუხლი შემცირებულია 37.8 ათასი ლარით, ხოლო იმავე თანხით გაზრდილია „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლი.
- აქტივის ოპერაციების ხარჯში აღრიცხვა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი - ფორმა №2; №3) წარმოდგენილ „საქონელი და მომსახურების“ მუხლსა და ფორმა №1-ში წარმოდგენილ საბოლოო ნაშთის სისწორეზე.

⁸ 2012 წელი -ხელშეკრულებები: №111, №121.

⁹ 2013 წელი- ხელშეკრულებები: №106, №107, №110, №116, №117.

არაწარმოებული აქტივები

გარემოება. მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული 221.8 ათასი ლარის ღირებულების მიწები, ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორ მუხლში არის წარმოდგენილი. არაწარმოებული აქტივები აღრიცხულია „სხვა ძირითადი აქტივების“ მუხლში, ნაცვლად „არაწარმოებული აქტივების“ მუხლისა.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) „არაწარმოებული აქტივების“ მუხლი 221.8 ათასი ლარით არის შემცირებული, ხოლო იმავე თანხით გაზრდილია „სხვა ძირითადი აქტივების“ მუხლი.

გარემოება 2. ყაზბეგის მუნიციპალიტეტს 2013 წელს, სსიპ - „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ ბრძანება №1-169-ს საფუძველზე, საკუთრებაში გადაეცა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 26428.0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. გადაცემული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ღირებულებამ ნორმატიული ფასის გათვალისწინებით სულ შეადგინა 215.9 ათასი ლარი. მიწის ნაკვეთის ბალანსზე აყვანა მუნიციპალიტეტის მხრიდან არ განხორციელებულა.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1, ბალანსის დანართი ფორმა №5) „არაწარმოებული აქტივების“ მუხლი შემცირებულია შესაბამისი ღირებულებით.
- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №3) იმავე თანხით შემცირებულია „აქტივების უსასყიდლოდ მიღების“ მუხლი.
- აღნიშნული გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი -ფორმა№1) წარმოდგენილ „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე.

მომსახურების მიწოდებით დარიცხული ვალდებულებები

გარემოება. მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მუნიციპალიტეტს 2013 წლის ბოლოსათვის ერიცხება მომსახურების მიწოდებით დარიცხული კრედიტორული დავალიანება - 1.3 ათასი ლარი. აღნიშნული წარმოდგენილი არ არის ფინანსურ ანგარიშგებაში.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა № 1) „მომსახურების მიწოდებით დარიცხული ვალდებულებების“ მუხლი წლის ბოლოსათვის შემცირებულია 1.3 ათასი ლარით.

აქტივების მიწოდებით დარიცხული ვალდებულებები

გარემოება. მუნიციპალიტეტის მიერ 2013 წელს მიმწოდებლისთვის არ არის ანაზღაურებული შესრულებული სამუშაოს ღირებულება - 1.8 ათასი ლარი. აღნიშნული წარმოდგენილი არ არის ფინანსურ ანგარიშგებაში.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა № 1) „აქტივების მიწოდებით დარიცხული ვალდებულებების“ მუხლი წლის ბოლოსათვის შემცირებულია 1.8 ათასი ლარით.

წმინდა ღირებულება

გარემოება 1. 2013 წლის განმავლობაში არაფინანსური აქტივის ზრდის ოპერაციები, თანხით 1848.0 ათასი ლარი, ასევე, არაფინანსური აქტივის კლების ოპერაციები, თანხით 65.7 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტმა აღრიცხა „წმინდა ღირებულების“ ანგარიშში - „სხვა ეკონომიკური ნაკადების“ მუხლში. „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მიხედვით, სხვა ეკონომიკური ნაკადები აქტივის ან ვალდებულების მოცულობის ან ღირებულების ცვლილებაა, რომელიც ოპერაციის

შედეგს არ წარმოადგენს. შესაბამისად, არაფინანსური აქტივების ზრდისა და კლების ოპერაციების „სხვა ეკონომიკური ნაკადების“ მუხლში ასახვა არასწორია.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - დანართი ფორმა №3) „სხვა ეკონომიკური ნაკადების“ მუხლის დებეტი გაზრდილია 1848.0 ათასი ლარით, ხოლო კრედიტი 65.7 ათასი ლარით.
- აღნიშნული გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) წარმოდგენილ „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე.

მანქანა-დანადგარები და ინვენტარი

გარემოება. მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის საწყისი ნაშთი 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 329.9 ათას ლარს. აღნიშნული დანართ ფორმა №5-ში წარმოდგენილია 602.0 ათასი ლარით. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ფორმა №5-ში სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვა ინვენტარის საწყისი ნაშთი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, ცვეთის გამოკლების გარეშე.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - დანართი ფორმა №5) „მანქანა-დანადგარისა და ინვენტარის“ მუხლი 272.3 ათასი ლარით გაზრდილადა წარმოდგენილი.

სატრანსპორტო საშუალებები

გარემოება . ყაზბეგის მუნიციპალიტეტს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსგან¹⁰ 2013 წელს გადმოეცა სატრანსპორტო საშუალებები, ღირებულებით 21.9 ათასი ლარი. აღნიშნული, ფინანსური ანგარიშგების დანართ ფორმა №3-ში არ არის წარმოდგენილი „აქტივების უსასყიდლოდ მიღების“ მუხლში.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №3) 21.9 ათასი ლარით შემცირებულია „აქტივების უსასყიდლოდ მიღების“ მუხლი.

¹⁰ ბრძანებები: №2031, №2474, № 2971.

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი -ფორმა№1) „წმინდა ღირებულების მუხლი“ შემცირებულია 21.9 ათასი ლარით.

სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი

გარემოება. 2013 წელს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროსგან მუნიციპალიტეტს უსასყიდლოდ გადმოეცა ბოქსის რინგი, ღირებულებით 4.1 ათასი ლარი. აღნიშნული, ფინანსური ანგარიშგების დანართ ფორმა №3-ში არ არის წარმოდგენილი „აქტივების უსასყიდლოდ მიღების“ მუხლში.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №3) 4.1 ათასი ლარით შემცირებულია „აქტივების უსასყიდლოდ მიღების“ მუხლი.
- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი -ფორმა№1) „წმინდა ღირებულების მუხლი“ შემცირებულია 4.1 ათასი ლარით.

ინვენტარიზაცია

გარემოება. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების - „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ თანახმად, საბიუჯეტო ორგანიზაციაში აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად, საბიუჯეტო წლის ბოლოს, გარდა უძრავი ქონებისა და საბიბლიოთეკო ფონდებისა, რომელთა ინვენტარიზაცია სავალდებულოა 3 წელიწადში ერთხელ მაინც. აღნიშნული ბრძანებით, აქტივების სხვადასხვა ჯგუფისთვის განსაზღვრულია ინვენტარიზაციის ჩატარების რეკომენდებული ვადები, კერძოდ:

- ✓ ძირითადი აქტივების – საბიუჯეტო წლის ბოლოს, არა უადრეს პირველი ოქტომბრისა;
- ✓ სტრატეგიული მარაგების – საბიუჯეტო წლის ბოლოს, არა უადრეს პირველი ოქტომბრისა;

- ✓ ნედლეულისა და მასალების – წელიწადში ორჯერ მაინც;
- ✓ მატერიალური მარაგების – წელიწადში ერთხელ მაინც, არა უადრეს პირველი ოქტომბრისა;
- ✓ ფულადი ანგარიშებისა და ფულადი დოკუმენტების – კვარტალში ერთხელ მაინც;
- ✓ საწვავის – ყოველთვიურად;
- ✓ ფასეულობების – წელიწადში ერთხელ მაინც, საბიუჯეტო წლის ბოლოს, არა უადრეს პირველი ნოემბრისა;
- ✓ ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების – წელიწადში ორჯერ მაინც.

პასუხიმგებელი პირის განმარტებით, 2013 წელს ყაზბეგის მუნიციპალიტეტში ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა.

გავლენა

- რადგან მუნიციპალიტეტში ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა, არსებობს მაღალი რისკი იმისა, რომ ორგანიზაციის საკუთრებაში არსებული ყველა აქტივი არ იყოს ჩაბარებული პასუხისმგებელ პირზე. იმის გამო, რომ მუნიციპალიტეტს არ აქვს ჩატარებული ინვენტარიზაცია, არ ხორციელდება:
 - ფინანსური და არაფინანსური აქტივების შენახვის წესებისა და პირობების შემოწმება;
 - ფინანსური და არაფინანსური აქტივების დაცულობაზე კონტროლი;
 - აქტივებისა და ვალდებულებების, ასევე ბალანსის საცნობარო მუხლებში ასახული მატერიალური ფასეულობების ფაქტობრივი ნაშთების დადგენა;
 - გამოუყენებელი აქტივების გამოვლენა;
 - არაფინანსური აქტივების ექსპლუატაციის წესების დაცვის შემოწმება;
 - ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული მოთხოვნებისა და ვალდებულებების რეალურობის შემოწმება;
 - აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების შედარება ორგანიზაციის სააღრიცხვო მონაცემებთან.

აუდიტის დასკვნა - პირობითი დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრებების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგება 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია ჩამოთვლილი დოკუმენტების საფუძველზე:

- ✓ „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულება;
- ✓ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქცია;
- ✓ „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება.

2014 წლის ფინანსური ანგარიშგების პირობითი მოსაზრების საფუძვლები

მუნიციპალიტეტის 2013 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შედეგად გამოვლენილი გარემოებები არსებით გავლენას ახდენს 2013 წლის ფინანსური ანგარიშგების საბოლოო ნაშთების სისწორეზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2014 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორად არის წარმოდგენილი საწყისი ნაშთები.

მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში

გარემოება. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მიერ 2014 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორ მუხლში არის კლასიფიცირებული საბანკო ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრების საწყისი და საბოლოო ნაშთები. კერძოდ, საბანკო ამონაწერების მიხედვით, 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტს ნაშთის სახით ერიცხებოდა

2167.5 ათასი ლარი, ხოლო 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით - 2998.1 ათასი ლარი. აღნიშნული ნაცვლად მუხლისა - „მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში“, წარმოდგენილია მუხლში - „საბიუჯეტო სახსრები ორგანიზაციის საკასო ხარჯებისთვის“.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) მუხლი - „საბიუჯეტო სახსრები ორგანიზაციის საკასო ხარჯებისთვის“, გაზრდილი თანხით არის წარმოდგენილი, ხოლო იმავე თანხით არის შემცირებული მუხლი - „მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში“.

მოთხოვნები საქონლისა და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით

გარემოება. მუნიციპალიტეტს 2014 წლის დასაწყისისათვის ერიცხება დებიტორული დავალიანება საქონლისა და მომსახურების მიღებაზე, თანხით 6.0 ათასი ლარი, ხოლო წლის ბოლოსათვის 5.2 ათასი ლარი. აღნიშნული წარმოდგენილია არასწორად „სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივების“ მუხლში.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა № 1) მუხლი - „მოთხოვნები საქონლისა და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით“, წლის დასაწყისისათვის შემცირებულია 6.0 ათასი ლარით, ხოლო წლის ბოლოსათვის 5.2 ათასი ლარით. ამავე თანხით გაზრდილია „სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივების“ მუხლის საწყისი და საბოლოო ნაშთი.

მოთხოვნები აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით

გარემოება. 2014 წლის დასაწყისისათვის მუნიციპალიტეტს ერიცხება აქტივების მიწოდებით წარმოქმნილი დებიტორული დავალიანება 124.1 ათასი ლარი, ხოლო წლის ბოლოს - 114.4 ათასი ლარი. აღნიშნული წარმოდგენილია არასწორად მუხლში - „სხვა

გრძელვადიანი ფინანსური აქტივები“, წლის დასაწყისისათვის, ხოლო წლის ბოლოსათვის - 115.7 ათასი ლარით.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა № 1) მუხლი - „მოთხოვნები აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით“, წლის დასაწყისისათვის შემცირებულია 124.1 ათასი ლარით, ხოლო წლის ბოლოსათვის - 114.4 ათასი ლარით. „სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივების“ მუხლის საწყისი ნაშთი გაზრდილია 123.4 ათასი ლარით, ხოლო საბოლოო ნაშთი - 115.7 ათასი ლარით.

შენობა-ნაგებობები

გარემოება. მუნიციპალიტეტმა წლის მანძილზე სხვადასხვა მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში შეისყიდა 2069.8 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოები¹¹. აღნიშნული წარმოადგენს არაფინანსური აქტივის ზრდის ოპერაციებს. ბუღალტრულ ჩანაწერებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში შესყიდვით წარმოქმნილი აქტივები აღიარებული უნდა იყოს „შენობა-ნაგებობების მიღების“ შესაბამის მუხლებში და დაერიცხოს ცვეთა. აღნიშნული ოპერაცია მუნიციპალიტეტის მიერ არ განხორციელებულა.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი ფორმა № 1; ბალანსის დანართი ფორმა №5) „შენობა-ნაგებობების“ შესაბამისი მუხლები შემცირებული თანხით არის წარმოდგენილი.
- შესრულებული სამუშაოები წარმოადგენს მუნიციპალიტეტის აქტივს და უნდა დაერიცხოს ცვეთა. მუნიციპალიტეტის მხრიდან აღნიშნულ სამუშაოებზე ცვეთის დარიცხვა არ განხორციელებულა. დასარიცხი ცვეთის თანხით ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართები ფორმა №2; №3 და № 5) „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი არასწორად არის წარმოდგენილი.

¹¹ გზის მოწყობა, ნაპირსამაგრი სამუშაოები, რიტუალების სახლის მშენებლობა, სასაფლაოს შემოღობვა, შენობის რემონტი.

- დასარიცხი ცვეთა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) წარმოდგენილ „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე.

გარემოება 2. მუნიციპალიტეტის მიერ წლის მანძილზე შესყიდულია 34.8 ათასი ლარის საპროექტო მომსახურება, რომელიც ასახულია „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლში. საქართველოს ფინანსთა მინისტრის №1321 ბრძანებით¹², ოპერაციის ძირითად აქტივად აღიარების დროს ყველა დანახარჯი, რომელიც საჭიროა აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად და სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ემატება აქტივის ღირებულებას. აქედან გამომდინარე, პროექტის ღირებულება უნდა დამატებოდეს შესაბამისი აქტივის ღირებულებას და მისი ასახვა „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლში არასწორია.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი ფორმა № 1; ბალანსის დანართი ფორმა №5) „შენობა-ნაგებობების“ შესაბამისი მუხლები შემცირებული თანხით არის წარმოდგენილი.
- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2; №3) „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლი გაზრდილია 34.8 ათასი ლარით.
- შესრულებული სამუშაოები წარმოადგენს მუნიციპალიტეტის აქტივს და უნდა დაერიცხოს ცვეთა. მუნიციპალიტეტის მხრიდან აღნიშნულ სამუშაოებზე ცვეთის დარიცხვა არ განხორციელებულა. დასარიცხი ცვეთის თანხით ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართები ფორმა №2; №3 და № 5) „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი არასწორად არის წარმოდგენილი.
- დასარიცხი ცვეთა გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) წარმოდგენილ „წმინდა ღირებულების მუხლის“ სისწორეზე.

¹² „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“.

დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი

გარემოება. მუნიციპალიტეტმა სხვადასხვა ხელშეკრულების ფარგლებში შეისყიდა სამუშაოები, რომლებიც არ დასრულებულა მიმდინარე წელს და მოხდა მათი მიღება-ჩაბარების თარიღის გადავადება მომდევნო წლისათვის. 2014 წლის 1 იანვრისათვის მსგავსი სამუშაოების ღირებულებაა 790.5 ათასი ლარი¹³, ხოლო 2014 წელს - 188.8 ათასი ლარი¹⁴.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა № 1 და ბალანსის დანართი ფორმა №5) „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივის“ მუხლის ნაშთი წლის დასაწყისისათვის შემცირებულია 790.5 ათასი ლარით, ხოლო ნაშთი წლის ბოლოსათვის შემცირებულია 188.8 ათასი ლარით.

გარემოება 2. 2014 წელს მუნიციპალიტეტმა განახორციელა 33.9 ათასი ლარის ისეთი საპროექტო მომსახურების შესყიდვა, რომლითაც პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები არ განხორციელდა ან მოხდა სამუშაოების გადავადება. საპროექტო მომსახურების ღირებულება ნაცვლად „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივის“ მუხლისა, წარმოდგენილია „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლით.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1) „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივის“ მუხლი შემცირებულია 33.9 ათასი ლარით, ხოლო იმავე თანხით გაზრდილია (ბალანსის დანართი - ფორმა №2; №3) „სხვა დანარჩენი საქონლისა და მომსახურების“ მუხლი.

არაწარმოებული აქტივი

გარემოება. ყაზბეგის მუნიციპალიტეტს 2013 წელს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ბრძანება №1-169-ს საფუძველზე, საკუთრებაში გადაეცა სახელმწიფო

¹³ 2013 წელი- ხელშეკრულებები: №106, №107, №110, №116, №117.

¹⁴ 2014 წელი- ხელშეკრულება №70

საკუთრებაში არსებული 26428.0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ღირებულებით 215.9 ათასი ლარი. გადმოცემული მიწის ნაკვეთის ბალანსზე აყვანა მუნიციპალიტეტის მხრიდან არ განხორციელებულა. შესაბამისად, „არაწარმოებული აქტივების“ ნაშთი 2014 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორი თანხითაა წარმოდგენილი.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა №1, ბალანსის დანართი ფორმა №5) „არაწარმოებული აქტივების“ მუხლი შემცირებულია შესაბამისი თანხით.

მომსახურების მიწოდებით დარიცხული ვალდებულებები

გარემოება. მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მუნიციპალიტეტს 2014 წლის დასაწყისისათვის ერიცხება კრედიტორული დავალიანება 1.3 ათასი ლარი, ხოლო წლის ბოლოსათვის - 0.5 ათასი ლარი. აღნიშნული წარმოდგენილი არ არის ფინანსურ ანგარიშგებაში.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა № 1) „მომსახურების მიწოდებით დარიცხული ვალდებულებების“ მუხლი წლის დასაწყისისათვის შემცირებულია 1.3 ათასი ლარით, ხოლო წლის ბოლოსათვის - 0.5 ათასი ლარით.

აქტივების მიწოდებით დარიცხული ვალდებულებები

გარემოება. მუნიციპალიტეტის მიერ მიმწოდებლისთვის არ არის ანაზღაურებული შესრულებული სამუშაოს ღირებულება¹⁵ - 1.8 ათასი ლარი, ასევე მიმწოდებელს საბოლოო ანგარიშსწორებამდე დაუკავდა შესრულებული სამუშაოს ღირებულებიდან 4.9 ათასი ლარი. აღნიშნული წარმოდგენილი არ არის ფინანსურ ანგარიშგებაში.

¹⁵ შპს „მითი“.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - ფორმა № 1) „აქტივების მიწოდებით დარიცხული ვალდებულებების“ მუხლი წლის დასაწყისისათვის შემცირებულია 1.8 ათასი ლარით, ხოლო წლის ბოლოსათვის - 4.9 ათასი ლარით.

შრომის ანაზღაურება

გარემოება. 2014 წელს მუნიციპალიტეტის მიერ თანამშრომლებისათვის ანაზღაურებულია სამსახურიდან დათხოვნის კომპენსაციები - 15.6 ათასი ლარი. აღნიშნული გაცემულია „ხელფასების“ მუხლიდან, ნაცვლად „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლისა („დამსაქმებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება“).

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2) „ხელფასების“ მუხლი გაზრდილია 15.6 ათასი ლარით, ხოლო იმავე თანხით შემცირებულია „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლი.

გარემოება 2. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგებლის №491 ბრძანების შესაბამისად, თანამშრომლებისათვის ახალ წელთან დაკავშირებით გაცემულია პრემია (დანამატი), თანხით 46.5 ათასი ლარი. საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, აღნიშნული წარმოადგენს პრემიას და მისი აღრიცხვა „დანამატის“ მუხლში არასწორია.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №2) „პრემიის“ მუხლი შემცირებულია 46.5 ათასი ლარით, ხოლო იმავე თანხით გაზრდილია „დანამატის“ მუხლი.

წმინდა ღირებულება

გარემოება 1. 2014 წელს არაფინანსური აქტივის ზრდის ოპერაციები, ღირებულებით 3736.4 ათასი ლარი, ასევე არაფინანსური აქტივის კლების ოპერაციები, ღირებულებით 363.0 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტმა აღრიცხა „წმინდა ღირებულების“ ანგარიშში „სხვა

ეკონომიკური ნაკადების“ მუხლში. „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ფინანსთა მინისტრის ინსტრუქციის მიხედვით, სხვა ეკონომიკური ნაკადები აქტივის ან ვალდებულების მოცულობის, ან ღირებულების ცვლილებაა, რომელიც ოპერაციის შედეგს არ წარმოადგენს. შესაბამისად, არაფინანსური აქტივების ზრდისა და კლების ოპერაციების „სხვა ეკონომიკური ნაკადების“ მუხლში ასახვა არასწორია.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი - დანართი ფორმა №3) „სხვა ეკონომიკური ნაკადების“ მუხლის დებეტი გაზრდილია 3736.4 ათასი ლარით, ხოლო კრედიტი - 363.0 ათასი ლარით.
- აღნიშნული გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი -ფორმა№1) წარმოდგენილ „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე.

შენიშვნა-ნაგებობების უსასყიდლოდ მიღება

გარემოება. 2014 წელს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტს უსასყიდლოდ გადმოეცა სოფელ გორისციხის ამბულატორია, ღირებულებით 29.9 ათასი ლარი. აღნიშნული, ფინანსური ანგარიშგების დანართ ფორმა №3-ში არ არის წარმოდგენილი „აქტივების უსასყიდლოდ მიღების“ მუხლში.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №3) 29.9 ათასი ლარით შემცირებულია „აქტივების უსასყიდლოდ მიღების“ მუხლი.
- აღნიშნული გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი -ფორმა№1) წარმოდგენილ „წმინდა ღირებულების“ მუხლის სისწორეზე.

სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი

გარემოება. 2014 წელს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსგან, ასევე საქართველოს მთავარი პროკურატურისგან მუნიციპალიტეტს უსასყიდლოდ

გადმოეცა ინვენტარი¹⁶, ღირებულებით 25.2 ათასი ლარი. აღნიშნული, ფინანსური ანგარიშგების დანართ ფორმა №3-ში არ არის წარმოდგენილი „აქტივების უსასყიდლოდ მიღების“ მუხლში.

გავლენა

- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსის დანართი ფორმა №3) 25.2 ათასი ლარით შემცირებულია „აქტივების უსასყიდლოდ მიღების“ მუხლი.
- ფინანსურ ანგარიშგებაში (ბალანსი -ფორმა№1) „წმინდა ღირებულების მუხლი“ შემცირებულია 25.2 ათასი ლარით.

ინვენტარიზაცია

გარემოება. საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების - „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ თანახმად, საბიუჯეტო ორგანიზაციაში აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად, საბიუჯეტო წლის ბოლოს, გარდა უძრავი ქონებისა და საბიბლიოთეკო ფონდებისა, რომელთა ინვენტარიზაცია სავალდებულოა 3 წელიწადში ერთხელ მაინც. აღნიშნული ბრძანებით, აქტივების სხვადასხვა ჯგუფისთვის განსაზღვრულია ინვენტარიზაციის ჩატარების რეკომენდებული ვადები, კერძოდ:

- ✓ ძირითადი აქტივების – საბიუჯეტო წლის ბოლოს, არა უადრეს პირველი ოქტომბრისა;
- ✓ სტრატეგიული მარაგების – საბიუჯეტო წლის ბოლოს, არა უადრეს პირველი ოქტომბრისა;
- ✓ ნედლეულისა და მასალების – წელიწადში ორჯერ მაინც;
- ✓ მატერიალური მარაგების – წელიწადში ერთხელ მაინც, არა უადრეს პირველი ოქტომბრისა;

¹⁶ კინოჩვენებისათვის საჭირო აღჭურვილობა, მაგიდები და სკამები.

- ✓ ფულადი ანგარიშებისა და ფულადი დოკუმენტების – კვარტალში ერთხელ მაინც;
- ✓ საწვავის – ყოველთვიურად;
- ✓ ფასეულობების – წელიწადში ერთხელ მაინც, საბიუჯეტო წლის ბოლოს, არა უადრეს პირველი ნოემბრისა;
- ✓ ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების – წელიწადში ორჯერ მაინც.

2014 წელში საინვენტარიზაციო კომისია შექმნილია საკრებულოს თავმჯდომარის 23 იანვრის №17 ბრძანებით, რომლის შესაბამისად, ინვენტარიზაციის შედეგები განსახილველად და შემდგომი რეაგირებისათვის უნდა წარედგინათ საკრებულოში ერთი თვის ვადაში. ბრძანებაში შესული ცვლილებებით¹⁷, ინვენტარიზაციის დასრულების ვადა განისაზღვრა 2015 წლის 31 მარტამდე. პასუხიმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული გადავადებები გამოწვეულია იმით, რომ გამგეობის საკუთრებაში არსებული ქონების საინვენტარიზაციო აღწერა 2010 წლიდან არ განხორციელებულა, ასევე საინვენტარიზაციო აღწერილობა ხშირ შემთხვევაში არ შეესაბამება ბუღალტრულ მონაცემებს. პასუხიმგებელი პირის განმარტებით, 2014 წელს ყაზბეგის მუნიციპალიტეტში ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა.

გავლენა

- რადგან მუნიციპალიტეტში ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა, არსებობს მაღალი რისკი იმისა, რომ ორგანიზაციის საკუთრებაში არსებული ყველა აქტივი არ იყოს ჩაბარებული პასუხისმგებელ პირზე. იმის გამო, რომ მუნიციპალიტეტს არ აქვს ჩატარებული ინვენტარიზაცია, არ ხორციელდება:
 - ფინანსური და არაფინანსური აქტივების შენახვის წესებისა და პირობების შემოწმება;
 - ფინანსური და არაფინანსური აქტივების დაცულობაზე კონტროლი;
 - აქტივებისა და ვალდებულებების, ასევე ბალანსის საცნობარო მუხლებში ასახული მატერიალური ფასეულობების ფაქტობრივი ნაშთების დადგენა;

¹⁷ ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2014 წლის 11 ნოემბრის №445 და ამავე წლის 31 დეკემბრის №506 ბრძანებები.

- გამოუყენებელი აქტივების გამოვლენა;
- არაფინანსური აქტივების ექსპლუატაციის წესების დაცვის შემოწმება;
- ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული მოთხოვნებისა და ვალდებულებების რეალურობის შემოწმება;
- აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების შედარება ორგანიზაციის სააღრიცხვო მონაცემებთან.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

პრემია

მუნიციპალიტეტის მიერ თანამშრომლებზე 2013 წელს გაცემულია პრემია - 73.6 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო 2014 წელს - 120.9 ათასი ლარი. პრემია 2013 და 2014 წლებში „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაცემული თანხის 8%-ს შეადგენს.

თანამშრომლებზე პრემია გაცემულია საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე, როგორც საკრებულოსა და გამგეობის შტატში რიცხულ, აგრეთვე შტატგარეშე (ხელშეკრულებით აყვანილ) თანამშრომლებზე. სულ დასაქმებულია 26 შტატგარეშე პირი, რომლებზეც 2013-2014 წლებში გაცემულია პრემია 6.1 ათასი ლარის ოდენობით.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში შეძენილი მარაგები

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მიერ 2012-2014 წლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში შეძენილია მასალები¹⁸, ღირებულებით 116.1 ათასი ლარი. შეძენილი მასალები შემდგომში გამოიყენებოდა სოფლებში სხვადასხვა სამუშაოების შესასრულებლად ა

ნ ხდებოდა მათი დასაწყობება. მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელი პირის განმარტებით, მასალების ხარჯვასთან დაკავშირებული დოკუმენტები საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურში წარმოდგენილი არ არის. აღნიშნულის გამო, ვერ ირკვევა შეძენილი მასალების რა ნაწილია გამოყენებული და დასაწყობებული. 2015 წლის 1

¹⁸ ბლოკი, ცემენტი, ხის მასალა და სხვ.

იანვრის მდგომარეობით, სამუშაოს შესრულებისას გამოყენებული მასალები ირიცხება ნაშთად და არ არის ჩამოწერილი.

გაზსადენი მილი

